

**ელენე ჯაჯანიძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**რელიგიის სწავლების მნიშვნელობა საქართველოს საჯარო სკოლებში****აბსტრაქტი**

სტატია ეხება საქართველოს საჯარო სკოლებში რელიგიების შესახებ სწავლების საკითხს. სტატიაში მიმოვიხილავთ ლიტერატურას და გაგაცნობთ რამდენიმე ქვეყნის მაგალითის სკოლაში რელიგიის სწავლების კუთხით, ასევე, კვლევებს, რომლებიც ასახავს აკადემიურ წარმატებაზე რელიგიის სწავლების გავლენას. წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია ქართული კანონმდებლობა საგანმანათლებლო სივრცეში რელიგიური თავისუფლების თვალსაზრისით, სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის შეთანხმებით განსაზღვრული ეკლესიის როლი საგანმანათლებლო სივრცეში რელიგიის სწავლების კუთხით, ასევე - ეროვნული სასწავლო მიზნები და არსებული გამოცდილება საჯარო სკოლებში რელიგიის სწავლების თვალსაზრისით. სტატიის ფარგლებში ჩატარებულია თვისებრივი კვლევა და ნაშრომის ძირითად ნაწილში განვიხილავთ კვლევის შედეგად გამოვლენილ რისკ-ფაქტორებს საქართველოს საჯარო სკოლებში რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით. დასკვნის სახით, სტატიაში წარმოდგენილია მოსაზრება, რომ მოსწავლეთა მრავალხრივი განვითარებისა და ტოლერანტ მოქალაქეებად ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია რელიგიის შესახებ ფუნდამენტური ცოდნის სკოლაში მიღება.

**შესავალი**

საქართველო ეთნიკურად, ენობრივად და რელიგიურად მრავალფეროვანი ქვეყანაა. 2002 წლის მოსახლეობის აღწერის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით,

საქართველოში არამართლმადიდებელი მოსახლეობა 16,1%-ს შეადგენს, მათ შორის მუსლიმი - 9,9%, სომხური სამოციქულო ეკლესიის წევრი - 3,9%, კათოლიკე - 0,8%, იუდეველი - 0,1%, სხვა - 0,8%

(საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, 2002, გვ. 132). განსხვავებული რელიგიის მქონე ადამიანების განსახლება უმეტესად კომპაქტურია, ისევე, როგორც ეთნიკური მოსახლეობის განსახლება. სახელმწიფო აღიარებს მოსახლეობის მრავალფეროვნებას და ამ ფაქტს საკანონმდებლო აქტებით არეგულირებს. საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს მოსახლეობის რელიგიურ თავისუფლებას. ასევე, სხვა კანონები, როგორებიცაა ზოგადი განათლების შესახებ კანონი, უმაღლესი განათლების შესახებ კანონი და არსებული პოლიტიკის პრინციპები ხელს უწყობს საქართველოში რელიგიის თავისუფალ აღმსარებლობას. „სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას; ამასთან ერთად, აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 9, პუნქტი 1). საქართველო საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფს განათლების სის-ტემის

გამიჯვნას რელიგიური გავლენისაგან. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს ანიჭებს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებას („კანონი ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 18, პუნქტი1). აკრძალულია ნებისმიერი ფორმით (მათ შორის - რელიგიურ ნიადაგზე) დისკრიმინაცია. სკოლა ვალდებულია, დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მასწავლებელსა და მშობლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას („კანონი ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 13).

საქართველოს კანონმდებლობაში გათვალისწინებულია აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაცვა რელიგიური ორგანიზაციების გავლენისაგან. 2004 წლის კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ კრძალავს უმაღლეს სასწავლებელში რელიგიური ორგანიზაციების სტრუქტურული ერთეულების შექმნას („კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი

3). ხოლო ეროვნული სასწავლო მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეებისათვის საქართველოს კულტურული, რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების გაცნობას, საკუთარი და სხვისი კულტურის პატივისცემას (საქართველოს ეროვნული სასწავლო მიზნები, 2004).

კანონმდებლობით დადგენილი რწმენის თავისუფლება არის ინდივიდის უფლება, სურვილისამებრ შეიცვალოს, აღიაროს ნებისმიერი რელიგია და გამოხატოს საკუთარი რწმენა. საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული რელიგიური თავისუფლება იცავს ადამიანის ხელშეუხებლობას, გულისხმობს თეიზმის ან ათეიზმის უფლებას.

წინამდებარე სტატიაში წარმოგიდგენთ სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებულ მაგალითებსა და რელიგიის სწავლების გავრცელებულ მიდგომებს, ასევე, გაგაცნობთ კვლევების შედეგებს, რამდენად მნიშვნელოვანია სკოლაში რელიგიების შესახებ საბაზისო ცოდნის

მიღება. სტატიაში ასევე განხილული იქნება საქართველოს გამოცდილება სკოლებში რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით.

სტატიის მიზანია, მკითხველს აჩვენოს ადამიანისათვის სკოლაში რელიგიის სწავლების მნიშვნელობა და განიხილოს სკოლაში რელიგიის შესახებ საგნის შემოტანის შემთხვევაში მოსალოდნელი გამოწვევები.

### **სკოლაში რელიგიის სწავლების სხვადასხვა მიდგომა**

მსოფლიოს მასშტაბით, სკოლებში რელიგიის სწავლების საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე ტიპის სახელმწიფო მიდგომა არსებობს. არის ქვეყნები, რომელთა საჯარო სკოლაში რელიგიის **კონფესიური სწავლება** ნებადართულია. ასეთ ქვეყნებში რელიგიის სწავლება უმეტესად სავალდებულო საგანია. არსებობენ სკოლები, სადაც **საერთოდ არ ისწავლება რელიგია** და სკოლები, სადაც რელიგია ისწავლება **პლურალისტური, არაკონფესიური** სწავლების მოდელით.

რელიგიის სწავლება სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად მიმდინარეობს. რელიგიის შესახებ გაკვეთილები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია. რელიგიის სწავლება განიხილება, როგორც მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების ერთ-ერთი საშუალება. განსაკუთრებული ყურადღება სკოლაში რელიგიის შესახებ სწავლებას ევროპის ქვეყნებში ეთმობა: „რელიგიების შესახებ ზოგადი ცოდნა და აქედან შესაბამისი ტოლერანტობის გრძნობა არის უმნიშვნელოვანესი საქმიანობა დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქეებისათვის... რელიგიების ცოდნა არის ისტორიისა და კაცობრიობის ცივილიზაციის შესახებ ცოდნის განუყოფელი ნაწილი. რელიგიების შესახებ ცოდნა მკაფიოდ განსხვავდება რომელიმე რელიგიის რწმენისა და მისი აღმსარებლობისაგან. უფრო მეტიც, ქვეყნებმა, რომლებშიც მხოლოდ ერთი რელიგიაა დომინანტური, უნდა ასწავლონ ყველა რელიგიის წარმომავლობის შესახებ. არ შემოიფარგლონ მხოლოდ ერთი რელიგიის შესახებ სწავლებით და ხელი არ

შეუწყონ პროზელიტიზმს“ (ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, რეკომენდაცია 1720 (2005) *რელიგიისა და განათლების შესახებ*).

### **რელიგიის სწავლება დიდ ბრიტანეთში**

დიდ ბრიტანეთში 1987 წლამდე საგანამანათლებლო სივრცე თავისუფალი იყო რელიგიური გავლენებისაგან. 1987 წელს, მარგარეტ ტეტჩერის კონსერვატორული მთავრობის პერიოდში მკვეთრად გაძლიერდა ანგლიკანური ეკლესიის პოზიცია. შემუშავდა რელიგიური განათლების ინტერრელიგიური კონცეფცია (თინიკაშვილი, დ. 2013), სადაც გათვალისწინებულ იქნა, როგორც ანგლიკანური ეკლესიის პოზიცია, ასევე რელიგიური პლურალიზმის მოთხოვნები. 1988 წლის რელიგიური რეფორმის აქტში აღნიშნულია, რომ დიდ ბრიტანეთში რელიგიური ტრადიციები უმეტესად ქრისტიანულია. მნიშვნელოვანია, რომ სილაბუსის მიზანი არ უნდა იყოს მოსწავლის ამა თუ იმ რელიგიაზე მოქცევა (თინიკაშვილი, დ.2013).

## რელიგიის სწავლება შოტლანდიაში

შოტლანდიაში საზოგადოების განათლების საკითხი უძველესი დროიდან ქრისტიანულ რელიგიასთან ასოცირდება. პირველი საგანმანათლებლო დაწესებულებებიც რელიგიური ორგანიზაციების პატრონაჟის ქვეშ იყო. რელიგია განსაკუთრებით დომინირებდა შოტლანდიის სკოლების დაწყებითი განათლების საფეხურზე. 1872 წლიდან შოტლანდიაში სკოლა სახელმწიფო დაფინანსების მოდელზე გადავიდა და ადგილობრივი თვით-მმართველობის კონტროლს დაექვემდებარა (შოტლანდიის ეროვნული ანგარიში, 2010) შესაბამისად, რელიგიის გავლენა შემცირდა. 1980 წლიდან რელიგიური განათლება შოტლანდიელი მოსწავლეებისათვის კვლავ სავალდებულო მოთხოვნა გახდა (მაკლელანდი, გ. 2012). 2012 წლისათვის სკოლებში რელიგიის სწავლების საკითხმა კიდევ ერთხელ განიცადა რეფორმა და ჩამოყალიბდა, როგორც „რელიგიის, მორალისა და ფილოსოფიის მეცნიერება“,

თუმცა, ამავე დროს, არსებობს საგანი „რელიგიის სწავლება“, რომელიც ეფუძნება შოტლანდიის პროტესტანტული ეკლესიის პრინციპებს და რეგულირდება შოტლანდიის ეკლესიის მიერ (მაკლელანდი, გ. 2012). მოსწავლეებს რელიგიასთან დაკავშირებული ამ ორი საგნიდან არჩევანის გაკეთების საშუალება ეძლევათ.

## რელიგიის სწავლება საფრანგეთში

საფრანგეთი არის ქვეყანა, სადაც რელიგია და სახელმწიფო მკაცრად გამიჯნულია ერთმანეთისაგან. ამ გამიჯვნას საფუძვლად ისტორიული წარსული უდევს: საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი რელიგიისგან, კერძოდ, კათოლიკური ეკლესიისაგან გამიჯვნა იყო. საფრანგეთი პატივისცემას გამოხატავს ნებისმიერი რწმენის მიმართ (საფრანგეთის კონსტიტუცია, თავი პირველი. 1958). 1982 წლიდან რელიგიის სწავლება მორალზე ორიენტირებულმა სამოქალაქო განათლებამ ჩაანაცვლა. 2009 წლის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად,

საფრანგეთის საჯარო სკოლებში ისწავლება სამოქალაქო განათლების საგანი, რომელშიც განხილულია რელიგიური ფაქტები (ლეპინი, ლ. 2009). საფრანგეთში მიიჩნევენ, რომ რელიგიის სწავლების აუცილებლობა არ დგას, ვინაიდან მოსწავლეებს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ რელიგიური განათლების კერძო სკოლებში მიღება (სადაც ამჟამად მოსწავლეთა 20% სწავლობს). გარდა ამისა, საჯარო სკოლაში გამოყოფილია ერთი დღე რელიგიური გაკვეთლებისათვის საგაკვეთილო საათებს მიღმა. რელიგიის გაკვეთილზე დასწრება ნებაყოფლობითია.

### **რელიგიის სწავლება გერმანიაში**

სკოლაში რელიგიის სწავლების საკითხს გერმანიაში სახელმწიფო კონსტიტუცია არეგულირებს. „რელიგიის გაკვეთილი საჯარო სკოლებში (კონფესიისაგან თავისუფალი სკოლების გამოკლებით) არის ჩვეულებრივი სასწავლო საგანი. რელიგიის გაკვეთილები ისწავლება რელიგიურ გაერთიანებებთან ძირითადი პრინციპების შეთანხმების

საფუძველზე“ (გერმანიის ძირითადი კანონი, თავი 7 პუნქტი 3). გერმანიაში რელიგიის გაკვეთილი უმეტესად კონფესიურია. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს როგორც კათოლიკური, ასევე ევანგელისტური, მართლმადიდებლური და იუდაისტური რელიგიის გაკვეთილებს, ასევე ისლამური რელიგიის გაკვეთილებსაც. ხოლო მოსწავლეებს, რომლებიც საკუთარ თავს არც ერთ კონფესიას არ მიაკუთვნებენ, სკოლა ეთიკის გაკვეთილს სთავაზობს. გარდა ამისა, გერმანიის საჯარო სკოლებში მოსწავლეებს შეუძლიათ აირჩიონ გაკვეთილი რელიგიებისა და ღირებულებების შესახებ. გაკვეთილზე ასწავლიან რელიგიური მიმდინარეობების ისტორიებსა და ძირითად პრინციპებს.

### **რელიგიის სწავლება სლოვაკეთში**

რელიგიის სწავლების კუთხით, ევროპის სხვა ქვეყნები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან. **სლოვაკეთში** რელიგიის სწავლება საჯარო სკოლებში აკრძალულია სახელმწიფო კანონმდებლობის თანახმად (დოუნი, 2010).

თუმცა, სლოვაკეთის განათლების სამინისტრო იძლევა უფლებას, რეგისტრირებულმა რელიგიურმა ორგანიზაციებმა შექმნან სპეციალური რელიგიური კურსები მოსწავლეებისათვის, სადაც დასწრება ნებაყოფლობითი იქნება.

### რელიგიის სწავლება ავსტრიაში

ავსტრიაში სახალხო განათლების მართვის სადავეები 1860 წლამდე კათოლიკურ ეკლესიას ეჭირა. 1860 წლის შემდეგ სახელმწიფომ აიღო საჯარო განათლების სფეროზე პასუხისმგებლობა და ამ დროიდან რელიგიას გაემიჯნა. ავსტრიის 2005 წლის სახელმწიფო კანონმდებლობის თანახმად, საჯარო სკოლების უმნიშვნელოვანესი მოვალეობა გახდა მოსწავლეებისათვის დემოკრატიულობის, ჰუმანურობის, სოლიდარობისა და ტოლერანტული პრინციპების სწავლება. ავსტრიაში რელიგიის სწავლება არ შემოიფარგლება მხოლოდ კათოლიციზმის ან პროტესტანტული ეკლესიის მოძღვრების სწავლებით, ის ასევე გულისხმობს ისლამის, ბუდიზმის,

მართლმადიდებლობისა და სხვა აღმსარებლობის ზოგადი პრინციპების სწავლებას. რელიგიური ორგანიზაციები პასუხისმგებლები არიან სკოლაში რელიგიური განათლების ორგანიზებასა და კონტროლზე. თუმცა, სახელმწიფო იტოვებს უფლებას, მეთვალყურეობა გაუწიოს რელიგიის სწავლების სასკოლო დისციპლინას. მოსწავლი-სათვის არ არის სავალდებულო, დაესწროს რომელიმე კონკრეტული რელიგიის გაკვეთილს. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, აირჩიონ ალტერნატიული საგნები, როგორებიცაა ეთიკა, ან ფილოსოფია (ფრანკი, ი & ჰამერი, ს. 2010).

### რელიგიის სწავლება ნიდერლანდებში

ნიდერლანდების სამეფოში რელიგიის სწავლების უნიკალური, პლურალისტული მეთოდი აქვთ, რაც ასევე ასახულია ნიდერლანდების საკანონმდებლო ბაზაშიც. ნიდერლანდების კონსტიტუცია იცავს ადამიანთა რელიგიურ თავისუფლებას და უზრუნველყოფს რელიგიური და ეთნიკური განსხვავებულობის იურიდიულ თანაარსებობას: „დაუშვებე-

ლია რელიგიური, პოლიტიკური მრწამსის, რასის, გენდერის, ან რაიმე სხვა ნიშნით ადამიანების დისკრიმინაცია“ (ნიდერლანდების სამეფოს კონსტიტუცია, თავი 1, მუხლი 1).

ნიდერლანდების საჯარო სკოლებში არსებობს რელიგიების შესახებ გაკვეთილები. გაკვეთილები სრულიად არაკონფესიური ხასიათით გამოირჩევა. მოსწავლე ვალდებულია, დაესწროს ამ გაკვეთილებს. ყველა მოსწავლეს აქვს საკუთარი რელიგიური მრწამსის, მსოფლმხეველობის თავისუფლად გამოხატვის უფლება. ასეთი პლურალისტური მიდგომით ნიდერლანდების სამეფო ინარჩუნებს ნეიტრალობას ყველა რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანის მიმართ (პროშაკი, ვ. 2010).

### **რელიგიის სწავლება ამერიკის შეერთებულ შტატებში**

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი შესწორების (1791 წ) თანახმად, „კონგრესს არ აქვს უფლება, მიიღოს კანონი, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო რელიგიის

დადგენას და კანონი, რომელიც შეზღუდავს რომელიმე აღმსარებლობის თავისუფლებას“ (ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, 2007). კანონის აღნიშნული ჩასწორებით, ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონს არ აუკრძალავს ამერიკის სკოლებში რელიგიის შესახებ სწავლება.

მეორე მსოფლიო ომისა და ჰოლოკოსტის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებს ევროპიდან ბევრმა ადამიანმა შეაფარა თავი. მათ ამერიკაში განსხვავებული რელიგიური ტრადიციები ჩაიტანეს. ამ ფაქტმა განაპირობა სახელმწიფოსა და რელიგიის კიდევ უფრო მეტად სეკულარიზაცია. სეკულარიზაციის მიზეზი იყო ის, რომ სახელმწიფო უნდა ყოფილიყო ადამიანების რელიგიური ნიშნით თანასწორობის გარანტი. ამ დროიდან სკოლები თითქმის მთლიანად დაიცალა რელიგიის თემისაგან (კერბი, 2011). ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო იმედოვნებდა, რომ სკოლებიდან რელიგიის თემის აბსოლუტური იგნორირებით შეამცირებდა „აზრთა განსხვავებულობის



გავლენას“ და ხელს შეუწყობდა „ერთიანობის“ შეგრძნების ჩამოყალიბებას (კერზი, 2011).

დღესდღეობით აშშ-ს საჯარო სკოლებში, რელიგიის შესახებ საგანი არ ისწავლება. რელიგიის გაკვეთილები ტარდება საკვირაო სკოლებში, სადაც დასწრება ნებაყოფლობითია. აშშ-ს საჯარო სკოლებში არსებობს „თავისუფალი დროის“ პრინციპი, როდესაც მოსწავლეს შეუძლია დაესწროს რომელიმე რელიგიური ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ კონფესიურ გაკვეთილს. დასწრება ნებაყოფლობითია (კერზი, 2011).

### კვლევები სკოლაში რელიგიის შესახებ სწავლების უპირატესობაზე

სკოლაში რელიგიის შესახებ სწავლების დადებითი ან უარყოფითი ზეგავლენის შესახებ ბევრი კვლევა არ არსებობს, თუმცა ეს საკითხი გარკვეულწილად არის გამოკვლეული დროის სხვადასხვა მონაკვეთში. აუცილებელია, განვსაზღვროთ, რომ რელიგიის სწავლებაში იგულისხმება რელიგიის, როგორც მსოფლმხედ-

ველობის, რელიგიური ფაქტებისა და რელიგიური პლურალიზმის შესახებ მოსწავლეების ინფორმირება.

საინტერესოა, რა გავლენას ახდენს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე რელიგიის/რელიგიების შესახებ ცოდნა. 2007 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების დეპარტამენტმა გამოსცა კვლევის „რელიგია, მყარი ოჯახები და დაბალი აკადემიური მოსწრება“ ანგარიში. ანგარიში ეფუძნებოდა ხანგრძლივი ეროვნული საგანმანათლებლო კვლევის შედეგებს. კვლევაში შედარებულია რელიგიური სკოლების მოსწავლეების, ასევე აფრო- და ლათინოამერიკული წარმოშობის მოსწავლეების აკადემიური მიღწევები ამერიკელი თეთრკანიანი ბავშვების შედეგებთან, რომლებიც, ჩვეულებრივ, საჯარო სკოლებში სწავლობენ. კვლევაში დაცულია გენდერული ბალანსი. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მოსწავლეებს რელიგიური სკოლებიდან აქვთ უფრო მაღალი შედეგები ტესტებში, ვიდრე შესაბამისი

კლასების მოსწავლეებს საჯარო სკოლებიდან. კვლევის შედეგების გაანალიზების შემდეგ გამოიკვეთა რელიგიური სკოლების მოსწავლეებსა და საჯარო სკოლების მოსწავლეებს შორის აკადემიური მიღწევის მიხედვით მიღებული პროცენტული სხვაობის რამდენიმე შესაძლო მიზეზი: 1) უფრო მეტი დისციპლინა და უფრო მეტი საშინაო დავალება რელიგიურ სკოლებში, ვიდრე ეს საჯარო სკოლებშია; 2) მშობლების აქტიური ჩართულობის მოთხოვნა რელიგიურ სკოლებში; 3) ინფორმირებულობა სხვადასხვა რელიგიის ისტორიისა და ზოგადად რელიგიის ცივილიზაციასთან ურთიერთკავშირის შესახებ (ჯეინესი, 2007).

სკოლაში რელიგიის სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ კიდევ ერთი კვლევა ჩატარდა გერმანიის ქალაქ ჰამბურგში, 2006-2009 წლებში, REDCo-ს პროექტის ფარგლებში. კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეების დაინტერესება რელიგიის გაკვეთილებზე დასწრების მხრივ გაიზარდა წინა წლებთან შედარებით. მოსწავლეების მხრიდან

რელიგიის გაკვეთილებით უფრო მეტად დაინტერესების ძირითად მიზეზად დასახელდა რელიგიის გაკვეთილზე მსოფლიო რელიგიების შესახებ დისკუსიები, გაკვეთილის საინტერესო ფორმატი (დებატები, თავისუფალი თემის შესახებ ლექცია). აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილეობდნენ როგორც კათოლიკე, ლუთერანი, მუსლიმი, ასევე ათეისტი მოსწავლეებიც. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ერთობლივი გაკვეთილი მსოფლიო რელიგიების შესახებ მათთვის საინტერესო აღმოჩნდა. რესპონდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ რელიგიის გაკვეთილის დისკუსიის ნაწილი ყველაზე მეტად მოსწონთ (კნაუტი, 2009). გარდა ზემოთ განხილული კვლებისა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა ევროკავშირი/ევროკომისია, ევროსაბჭო, გაერო, ყოველწლიურად წარმოადგენენ გასული წლის რეკომენდაციებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთან მიმართებით. დასახელებული ორგანიზაციები სხვადასხვა წლის ანგარიშებში აღნიშნავენ, რომ რელიგიის

შესახებ სწავლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანია სრულყოფილი ზოგადი განათლების მისაღებად (ევროკომისია, 2009; იუნესკო 2013/2014). ეუთოს ორგანიზაციამ 2007 წელს გამოაქვეყნა სახელმძღვანელო პრინციპები და რეკომენდაციები რელიგიის შესახებ განათლებასთან დაკავშირებით. ეუთოს რეკომენდაციით, რელიგიის შესახებ სწავლება მოსწავლეს ეხმარება კულტურული თვალსაწიერის გაფართოებაში, ის მნიშვნელოვანია თანამედროვე ტოლერანტი მოქალაქის აღსაზრდელად (ტოლედოს რეკომენდაციები, ეუთო, 2007).

### რელიგიის სწავლების გამოცდილება საქართველოს სკოლებში და საკითხის აქტუალობა

საქართველოს საჯარო სკოლებში ამჟამად რელიგია, როგორც საგანი, ან საგანი რელიგიის შესახებ არ ისწავლება. საჯარო სკოლის საკანონმდებლო ვალდებულება უზრუნველყოფს რწმენის თავისუფლებას და რელიგიური ნეიტრალურობის პრინციპის დაცვა არ

კრძალავს სკოლაში რელიგიის სწავლებას. ამავდროულად, საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის (საქართველოს მთავრობის განკარგულება „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ, 2004).

საქართველოს აქვს გამოცდილება საჯარო სკოლებში რელიგიის შესახებ სწავლების მხრივ. 1988 წლიდან საქართველოში ჰუმანიტარული პროფილის სასწავლებლებში დაუშვეს საგანი „ქრისტიანული რელიგიის ისტორია“. საგნის სწავლების მიზანი იყო ხელოვნებისა და ლიტერატურის ძეგლების სიღრმისეულ გაგებასა და შესწავლაში ხელშეწყობა. მალე ასეთივე სურვილი ზოგადსაგნმანათლებლო სკოლებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმაც გამოთქვეს. მალევე ნებისმიერ სკოლას მიეცა უფლება, აერჩია რელიგიის საგანი და მისთვის კვირაში 1 საათი დაეთმო (პაპუაშვილი, 2004).

რელიგიის საგნის სკოლაში სწავლებას ქაოსური ხასიათი მიეცა. "პერესტროიკის" წყალობით საგანი ქრისტიანობის ისტორიის შესახებ სასწავლო გეგმაში შეიტანეს. ამ კურსის ძირითადი მიზანი იყო ლიტერატურისა და ხელოვნების სწავლების ხელშეწყობა. ადრეულ, 1990-იან წლებში საგანმა რამდენჯერმე განიცადა ცვლილება და სახელიც რამდენჯერმე გადაერქვა. ამ ფონზე, საპატრიარქო საგრძნობლად გააქტიურდა, განსაკუთრებით იმ მასწავლებელთა დატრენინგების კუთხით, რომლებსაც ეს საგანი სკოლაში უნდა ესწავლებინათ. უფრო მეტიც "რელიგიის ისტორიის" საგნის შინაარსობრივი მხარე გახდა საკამათო საპატრიარქოსა და აკადემიური წრეების ზოგიერთ წარმომადგენელს შორის. მართლმადიდებლურ საპატრიარქოს ჩარევას რელიგიის ისტორიის სწავლებაში ჰქონდა ასევე სამართლებრივი საფუძველი. მაგალითად, განათლების შესახებ კანონის 18.2 მუხლში (რომელიც მიღებულ იქნა 1997 წლის 22 ივნისს) წერია, რომ "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა

ითანამშრომლოს საქართველოს საპატრიარქოსთან სასკოლო გეგმის შემუშავებას"(პაპუაშვილი, ნ. 2008). საბოლოოდ, ამ პრაქტიკამ სკოლებში ვერ გაამართლა, ვინაიდან ვერ მოხერხდა ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება, როგორც უნდა ესწავლებინათ რელიგია სკოლაში.

2007 წლის შემდეგ სკოლაში სავალდებულო საგნად შემოვიდა „სამოქალაქო განათლება“. ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების შესაბამისად, „სამოქალაქო განათლების“ საგნის ერთ-ერთი მიზანია, „დაეხმაროს მოსწავლეს საქართველოს, როგორც მრავალფეროვანი ქვეყნის გაცნობიერებაში“ და ასწავლოს „განსხვავებული აზრის, ეროვნების, სარწმუნოებისა და კულტურის მქონე ადამიანების პატივისცემა“. „სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოში“ სხვადასხვა თემასთან ერთად ადგილი ეთმობა რელიგიას მრავალფეროვნების კონტექსტში. თუმცა, რელიგიის შესახებ საუბარი აღნიშნულ სახელმძღვანელოში ძალიან მწირია და შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმაციით, რომ საქართველოში სხვადასხვა რელიგიის

წარმომადგენლები არსებობენ და რელიგია განსაზღვრულია, როგორც კულტურის ფენომენი. სახელმძღვანელო არ მოიცავს ინფორმაციას საქართველოში არსებული სხვადასხვა რელიგიური წარმომადგენლების ისტორიისა და მათი კულტურის შესახებ.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების მიზნად განსაზღვრულია მოსწავლეების გათვითცნობიერება ადამიანის უფლებების დაცვისა და პატივისცემის გამოხატვის კუთხით, საკუთარი და სხვისი თვით-მყოფადობის შენარჩუნების სწავლება. საზოგადოებრივ მეცნიერებებში ერთიანდებიან საგნები: ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეს, იცნობდეს საქართველოში თუ მსოფლიოში მცხოვრები საზოგადოების კულტურასა და იაზრებდეს, რას ნიშნავს ზრუნვის ეთიკა და რატომაა ის ღირებული (ეროვნული სასწავლო გეგმა, კოდიფიცირებული რედაქცია, 2013).

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2014 წლის ოქტომბერში გაავრცელა ინფორმაცია, რომ მზადდება დაწყებითი საფეხურის მე-3 - მე-4 კლასებისათვის ახალი სახელმძღვანელო „მე და საზოგადოება“. სამოქალაქო ცნობიერების განვითარების მიზნით აღნიშნული საგნის სახელმძღვანელოს მომზადების შესახებ ინფორმაცია განათლებისა და მეცნიერებების სამინისტრომ 2014 წლის ანაგრიშშიც ასახა. მასმედით გავრცელდა ინფორმაცია, რომ სახელმძღვანელო მოიცავდა რელიგიის საკითხებსაც. არასამთავრობო ორგანიზაციებმა და რელიგიურმა გაერთიანებებმა გამოთქვეს სურვილი, შეხვედრა მოეწყოთ განათლების სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტების წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანი იყო სახელმძღვანელოს „მე და საზოგადოების“, კერძოდ კი - რელიგიის შესახებ ქვეთავის შინაარსთან დაკავშირებული საკითხების გარკვევა (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2014). შეხვედრაზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმო-

მადგენლებმა განაცხადეს, რომ სახელმძღვანელოში რელიგიის საკითხს მცირე ნაწილი დაეთმობა და რელიგია განხილული იქნება, როგორც კულტურის ფენომენი. სახელმძღვანელოს აღნიშნულ პარაგრაფში ასევე საუბარი იქნება საქართველოს რელიგიური მრავალფეროვნების შესახებ. სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, რომელიმე კონკრეტული რელიგიის, რელიგიის ფუნდამენტური პრინციპების ან რელიგიური ფაქტების შესახებ აღნიშნული სახელმძღვანელო მოსწავლეებს ინფორმაციით ვერ უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ სამინისტროს წარმომადგენლებმა გამოთქვეს მზაობა, ეთანამშრომლათ რელიგიის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან. სამინისტროს მიერ ინიცირებული ახალი სახელმძღვანელოს გარდა, საკითხის აქტუალობას ასევე ხელი შეუწყო ახლადშექმნილი უწყების, რელიგიისა საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ საქართველოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგიის შემუშავებამ, რომელიც ერთ-ერთ საკითხად რელიგიის

სკოლაში სწავლებას განიხილავს. სტრატეგიაში განსაზღვრულია, რომ „საქართველოში არსებული რელიგიური მრავალფეროვნება და რელიგიისადმი მოსახლეობის მაღალი ინტერესი აუცილებლად ითხოვს რელიგიების შესახებ ნეიტრალური და ობიექტური ინფორმაციის არსებობას და მასზე წვდომის უზრუნველყოფას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა საჯარო სკოლებში ისწავლებოდეს „რელიგიის საგანი“ (სახელწოდება პირობითია), რომელიც გააერთიანებს როგორც ადამიანის რელიგიურობისა და რწმენის ფენომენების, ასევე კონკრეტული რელიგიების დოქტრინალურ, ისტორიულ და კულტუროლოგიურ კომპონენტებს“ (საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგია, 2014).

რელიგიის საკითხთა სააგენტოს განაცხადს მოჰყვა ჟურნალ „ლიბერალის“ მიერ დისკუსიის ორგანიზება. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებმა. დებატების დროს მოწვეულ

საზოგადოებაში რელიგიის სკოლაში სწავლების საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა დაფიქსირდა. საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც სკოლაში რელიგიის, როგორც საგნის სწავლებას არ ეთანხმება, არგუმენტად მოჰყავს მოსალოდნელი ინდოქტრინაციისა და დემოკრატიული და სეკულარული სახელმწიფოს პრინციპების დარღვევის საფრთხე (ქევანიშვილი, 2014).

რელიგიის შესახებ საგნის საქართველოს საჯარო სკოლებში სწავლების მნიშვნელობის, საგნის ობიექტურად სწავლების სასკოლო და საკონონდებლო მზაობის შეფასებისა და მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ ჩავატარეთ კვლევა. კვლევის შედეგებსა და რეკომენდაციებს მომდევნო თავებში წარმოგიდენტ.

### **კვლევის მეთოდოლოგია**

რელიგიის შესახებ სკოლაში სწავლების შედეგების ანალიზისა და საქართველოს კანონმდებლობაში რელიგიური თავისუფლების ლიმიტების დასადგენად ჩავატარეთ **თვისებრივი**

**კვლევა**, რომელიც მოიცავდა დოკუმენტების ანალიზსა და ჩაღმავებულ ინტერვიუსებს. კვლევის **ფოკუსჯგუფს წარმოადგენდნენ** თეოლოგები, რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენლები და რელიგიის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. **კვლევის ინსტრუმენტად** გამოვიყენეთ ჩაღმავებულ ინტერვიუს კითხვარი. **კვლევის მიზანი** იყო საქართველოს საკანონმდებლო სივრცის გაცნობა რელიგიური თავი-სუფლების თვალსაზრისით და მათი წარმოდგენა, ასევე სკოლაში რელიგიის შესახებ სწავლებისათვის აუცილებელი მოთხოვნების და შესაძლო საფრთხეების დადგენა. კვლევის შედეგების გაანალიზებისას გამოვყავით რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, როგორც რისკ-ფაქტორი საჯარო სკოლებში რელიგიის შესახებ სწავლების შემთხვევაში.

### **კვლევის შედეგები**

კვლევამ გამოავლინა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც საჯარო სკოლაში რელიგიის შესახებ

სწავლებას უკავშირდება. საქართველოს საჯარო სკოლებში რელიგიის სწავლების გამოცდილებისა და ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად გამოვყავით რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელთაც შემდეგ ქვეთავებში მიმოვიხილავთ: როგორია მასწავლებელთა მზაობა აღნიშნული საგნის სწავლებასთან დაკავშირებით, გვყავს თუ არა ამ მიმართულებით კვალიფიციური კადრები, ასევე განვიხილავთ რელიგიის სახელმ-ძღვანელოს საკითხს, ვიმსჯელებთ მის შინაარსობრივ მხარეზე და ვისაუბრებთ რელიგიასთან მიმართებით არსებულ სასკოლო კლიმატზე, უმთავრესად მასწავლებლების დამოკიდებულებებზე.

### **მასწავლებელთა მზაობა სკოლაში რელიგიის / რელიგიის შესახებ სწავლებასთან მიმართებით**

რელიგიის სწავლება გულისხმობს საგანთან დაკავშირებული და ეროვნული მიზნების შესაბამისად მომზადებული მასწავლებლების არსებობას. სკოლაში რელიგიის საკითხის სწავლებასთან და

მასწავლებლის როლთან დაკავშირებით სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელს, თეოლოგ ბექა მინდიაშვილს ვესაუბრეთ. რესპონდენტი მიჩნევს, რომ უნდა ისწავლებოდეს რა არის რელიგია, „რომ არსებობს სხვადასხვა რელიგია... ისწავლებოდეს რწმენის პატივისცემა, უნდა იყოს განხილული კანონები... კანონი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას, რომ ყველა რელიგია თანასწორია და რელიგიის ნიშნით დისკრიმინაცია არ შეიძლება...“. თუმცა, ასევე აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე სკოლაში რელიგიის, როგორც საგნის შეტანა სახიფათოა. მსოფლიო რელიგიების შესახებ თუნდაც საუკეთესო სახელმძღვანელოს არსებობის პირობებში, არის საშიშროება იმისა, რომ გაკვეთილი შეიძლება გადაიქცეს მართლმადიდებლური რელიგიის ქადაგებად. მან ამის მიზეზად მღვდლების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული პედაგოგების უმეტესობა დაასახელა.

ასევე ჩნდება კითხვა: რომელი სპეციალობის მასწავლებელმა უნდა



ასწავლოს სკოლაში საგანი რელიგიების შესახებ? მინდიაშვილი მიიჩნევს, რომ ამ საგნის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ობიექტური ცოდნა რელიგიების ისტორიის, მათი ურთიერთდამოკიდებულების, ზოგადად ადამიანის ცხოვრებაში რელიგიის როლის შესახებ და საგანი ასწავლოს კონსტიტუციით გათვალისწინებული მოსწავლეთა უფლებების დაცვით. თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ, კონკორდატის თანახმად, მართლმადიდებელ ეკლესიას უფლება აქვს, ჩაერიოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში რელიგიის სწავლების საკითხში: „სასწავლო პროგრამების დადგენა, შეცვლა, პედაგოგთა დანიშვნა და გათავისუფლება ხდება ეკლესიის წარდგინებით“ (მუხლი 5, პუნქტი 1 - კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას შორის, 2002). ასევე - „სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილი არიან, განათლების სისტემაში განახორციელონ ერთობლივი პროგრამები“ (მუხლი 5, პუნქტი 1).

შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში რელიგიის სწავლების შემთხვევაში ეკლესიის როლი სასწავლო პროგრამის შინაარსთან და პედაგოგთა შერჩევასთან მიმართებაში დიდ მნიშვნელობას იძენს. ეკლესიის განსაკუთრებულმა როლმა, არსებული კანონმდებლობის შემთხვევაში, შესაძლოა, საგნის შესაბამისი პედაგოგის შერჩევა გაართულოს.

მიუხედავად იმისა, რომ არსებულ სისტემაში, როდესაც საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ (2005 წ.) არ განსაზღვრავს საგანმანათლებლო დაწესებულებაში რელიგიის სწავლების წესს და იცავს მოსწავლეთა უფლებას არ მოექცნენ ინდოქტრინაციის ქვეშ (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 13, 2005) და ამავე მიზნით კრძალავს საგანმანათლებლო დაწესებულებაში რაიმე სახის რელიგიური სიმბოლიკის განთავსებას არასასწავლო მიზნებით (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 18, 2005); ადგილი აქვს მასწავლებელთა მხრიდან

ინდოქტრინაციის მცდელობას, რასაც ბოლო დროს ჩატარებული რამდენიმე კვლევა ადასტურებს. 2013 წელს „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ რელიგიური განსახვავებულობისადმი მასწავლებელთა უმრავლესობას (80%) ეთნოცენტრული დამოკიდებულება ჰქონდა (შ. ტაბატაძე, ნ. გორგაძე 2014). ამავე კვლევის ფარგლებში მასწავლებლებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ რელიგიის, რელიგიური ტოლერანტობის საკითხები ყველაზე უფრო პრობლემატურადაა აღქმული მასწავლებელთა მხრიდან მულტიკულტურული სწავლების თავსაზრისით (შ. ტაბატაძე, ნ. გორგაძე 2014). კვლევის ფარგლებში გამოკითხული მასწავლებლები რელიგიური უმცირესობების მოსწავლეებთან დაკავშირებით, ტოლერანტობის ხელშემწყობ სტრატეგიად განსხვავებული რელიგიური რწმენის მოსწავლის „ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე“ მოქცევასა და „სწორ გზაზე დაყენებაში“

ხედავენ (ტაბატაძე, გორგაძე 2014). მასწავლებლებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ რელიგიისა და კულტურის სწავლება იყოს დადებითი გამოცდილება, ვინაიდან ეს ხელს უწყობდა მუსლიმ მოსწავლეებთან საუბარს ქრისტიანობის შესახებ (ტაბატაძე, 2013). აღსანიშნავია, რომ კანონი ზოგადი განათლების შესახებ კრძალავს „მოსწავლეს, მშობელს ან მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულების შესრულება, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღსარებლობასა და სინდისს“ (კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 18, პუნქტი 2).

კვლევამ აჩვენა, რომ საკითხი, თუ ვინ უნდა ასწავლოს რელიგიების შესახებ საგანი სკოლაში, ისე, რომ არ დაირღვეს არც ერთი მოსწავლის რელიგიური თავისუფლების უფლება, პრობლემატურად რჩება, თუმცა, ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ მასწავლებელთა მომზადება რელიგიის შესახებ საგნის სწავლებისათვის უმნიშველოვანესია. ამ ეტაპზე არ არსებობს რელიგიის შესახებ საგნის მასწავლებლის სტანდარტი და

ბუნდოვანია ასევე უმაღლესი სასწავლებლების მზაობა შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებლის მომზადებისათვის. კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა შესაბამისი ტრენინგები, რომელიც მასწავლებელს მისცემს როგორც საგნის ფუნდამენტურ ცოდნას, ასევე გააცნობს იმ მიდგომებს, რასაც მსოფლიოში რელიგიის საგნის არაკონფესიური სწავლების შემთხვევაში გამოიყენებენ.

### **რელიგიის სახელმძღვანელოს საკითხი**

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რელიგიის შესახებ საგნისათვის შესაბამისი სახელმძღვანელოს მომზადება და საგნის სწავლების მიდგომის განსაზღვრა. კვლევამ აჩვენა, რომ სკოლაში რელიგიის სწავლების საკითხი პრობლემატურია სწავლების მიდგომის განსაზღვრის გამო. არსებითად მნიშვნელოვანია, განვასხვავოთ ორი ცნება: „რელიგიის სწავლება“ და „რელიგიის შესახებ სწავლება“. ცნებას „რელიგიის სწავლება“ კონფესიური ხასიათი აქვს და გულისხმობს ერთი

კონკრეტული რელიგიური მრწამსის შესახებ სწავლებას. მისი მიზანი შეიძლება იყოს კონკრეტული რელიგიური მრწამსისადმი მოსწავლის რწმენის გაძლიერება. შესაბამისად, ამ შემთხვევაში გამოიყენება კონფესიური სწავლების მიდგომა. ხოლო ცნება „რელიგიის შესახებ სწავლება“ გულისხმობს მოსწავლეების ინფორმირებას სხვადასხვა რელიგიის, რელიგიური ტრადიციების, კულტურასთან რელიგიების კავშირის, რელიგიური კონფლიქტების შესახებ. „რელიგიის შესახებ სწავლების“ მიზანია მოსწავლეების მსოფლმხედველობის გაფართოება, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება, რომელსაც რელიგიის სწავლების არაკონფესიური მიდგომა უზრუნველყოფს. რესპონდენტების უმრავლესობა თანმხდება იმაზე, რომ სკოლაში ცალკე, ერთი რომელიმე რელიგიის შესახებ (კონფესიური მიდგომა) სწავლება საფრთხის წინაშე აყენებს მოსწავლეებისათვის რელიგიის თავისუფლების კანონით მინიჭებულ უფლებას, მით უფრო, როდესაც

სახელმწიფო მართლმადიდებლურ ეკლესიას კონკორდატის მიხედვით უპირატესობას ანიჭებს და საგანმანათლებლო სივრცეში რელიგიის სწავლების შემთხვევაში, ეკლესია დიდ როლს თამაშობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სახელმძღვანელომ დააკმაყოფილოს ყველა ის კრიტერიუმი და მოთხოვნა, რომელსაც საკანონმდებლო წესით განსაზღვრული რელიგიური თავისუფლება და ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები ითვალისწინებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების განვითარების კუთხით არც არსებული ზოგადი მეცნიერებების სახელმძღვანელოები გამოირჩევიან. „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ მიერ საქართველოს საჯარო სკოლების დაწყებით საფეხურზე

ჩატარებულ ინტერკულტურული ასპექტების კვლევაში გაანალიზებულია დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოები და აღნიშნულია, რომ სახელმძღვანელოების უმეტესობა არ აღწერს და არ ითვალისწინებს საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებას და ის მხოლოდ უმრავლესობის პერსპექტივიდან არის აღწერილი. მაგალითად, საქართველოს სხვადასხვა კუთხის კულტურული ძეგლებიდან წარმოდგენილია მართლმადიდებელი ეკლესიები და არ არის გათვალისწინებული სხვადასხვა აღმსარებლობის ნაგებობა, რომელიც განსხვავებული რელიგიური მრწამსის ქართველებს ეკუთვნით და ქართული კულტურის მემკვიდრეობაა (ტაბატაძე, გორგაძე, ხომერიკი, გაბუნია, თინიკაშვილი, 2013). გარდა ამისა, სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში არსებობს მართლმადიდებელი ეკლესიის ჩარევის საფრთხეც, ვინაიდან მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არსებული შეთანხმება ეკლესიის

მიერ რელიგიური სწავლების შინაარსის განსაზღვრასაც გულისხმობს.

### არსებული სასკოლო კლიმატი

რელიგიის შესახებ საგნის საჯარო სკოლებში სწავლებისათვის შესაბამისი სახელმძღვანელოს შექმნისა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის საკითხთან ერთად ასევე გასათვალისწინებელია არსებული სასკოლო გარემო, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და ადმინისტრაციის დამოკიდებულება რელიგიის საგნის სწავლებასთან დაკავშირებით. 2014 წელს ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ, მიუხედავად მოქმედი საკანონმდებლო ნორმებისა, საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია მათი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა (ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2014). კვლევის ანგარიშის თანახმად,

საქართველოს საჯარო სკოლებში ერთ-ერთი პრობლემური საკითხი მართლმადიდებლური წესით კოლექტიური ლოცვის პრაქტიკაა, რომელშიც ძალაუწიებურად რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ (ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, სეკულარიზმისა და რელიგიური დისკრიმინაციის კვლევა საქართველოში, 2014). სკოლებში არსებულ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტებს ადასტურებს აგრეთვე 2014 წელს ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის მიერ თბილისის რამდენიმე საჯარო სკოლაში ჩატარებული კვლევაც (ღვინიანიძე, ბარქაია, 2014). საქართველოს სახალხო დამცველი 2013 წლის ანგარიშში სკოლაში რელიგიის თავისუფლების დაცვის პრობლემას უსვამს ხაზს და აღნიშნავს, რომ განსხვავებული მრწამის მქონე სკოლის მოსწავლეები დაუცველნი არიან, როგორც ფსიქოლოგიური და მორალური, ასევე ფიზიკური ძალადობისაგან. „სკოლაში რელიგიური თვალსაზრისით დისკრიმინაციული

კლიმატი და დახურული სივრცე წარმოშობს პრობლემის განსაჯაროების საფრთხის განცდას თავად უმცირესობათა წარმომადგენლებში. ერთ-ერთ რეგიონში ადგილი ჰქონდა მოსწავლის ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას კლასის ხელმძღვანელის მხრიდან რელიგიური აღმსარებლობის ნიადაგზე.“ - ვკითხულობთ სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშში.

გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ჩადმავებულ ინტერვიუებში სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციის წარმოდგენლებმა დაადასტურეს არსებული დისკრიმინაციული განწყობა რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლეების მიმართ. შესაბამისად, სასკოლო განწყობა ერთ-ერთ რისკფაქტორად შეიძლება განვიხილოთ რელიგიის შესახებ საგნის სწავლების შემთხვევაში, ვინაიდან ამით სკოლის დირექციას და მასწავლებლებს გარკვეულწილად ეძლევათ საშუალება თუნდაც რელიგიური სიმბოლიკის გამოფენის პრაქტიკის ლეგალიზაციისა

და ამ ფაქტის აკადემიური მიზნობრიობით გამართლებისათვის.

### რეკომენდაციები/დასკვნები

ზემოთ განვიხილეთ საჯარო სკოლებში რელიგიის შესახებ სწავლების მაგალითები მთელი მსოფლიოს მასშტაბით, საქართველოს გამოცდილება რელიგიის სწავლების კუთხით. ასევე, კვლევები და მოსაზრებები რელიგიის შესახებ საჯარო სკოლაში სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. გარდა ამისა, წარმოვადგინეთ და განვიხილეთ საქართველოს საჯარო სკოლებში რელიგიის შესახებ საგნის სწავლების შემთხვევაში მოსალოდნელი საფრთხეები. განხილული კვლევებისა და არსებული სასწავლო გარემოს გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნას შემდეგი საკითხები:

1. რელიგიის სწავლების მიდგომა - კვლევებმა აჩვენა, რომ რელიგიის შესახებ ფუნდამენტური ცოდნის შექმნა კრიტიკული აზროვნების განვითარებასა და კულტურული ცნობიერების

ამაღლებას ხელს უწყობს. თუმცა, თავის მხრივ, გასათვალისწინებელია კვლევის შედეგების ნაწილში განხილული სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე მოსალოდნელი ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის რისკფაქტორები, არსებული სასკოლო გარემო და მასწავლებელთა დამოკიდებულება რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ. მნიშვნელოვანია, განისაზღვროს რელიგიის შესახებ სწავლების ნეიტრალური მიდგომა და განხორციელდეს არაკონფესიური სწავლება.

**2. რელიგიის შესახებ სწავლების შინაარსობრივი მხარე** - საგნის შინაარსობრივი მხარე და საგნის სწავლების მიზნები უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის რწმენისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების უფლებებს. მნიშვნელოვანია, საგნის შინაარსობრივი მხარე იყოს მრავალფეროვანი როგორც რელიგიის შესახებ ფაქტობრივი ცოდნის, ასევე ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში რელიგიის, ფილოსოფიის და მითოლოგიის როლის გააზრების

თვალსაზრისით, არ შეიცავდეს რომელიმე რელიგიური მრწამსის მიმართ დისკრიმინაციულ ელემენტებს და ხელს უწყობდეს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

**3. სასკოლო გარემო** - განხილულმა კვლევებმა გვაჩვენა, რომ სასკოლო განწყობა რელიგიის საკითხებთან დაკავშირებით ძალიან სენსიტიურია. რელიგიების შესახებ საუბარი სკოლაში განსაკუთრებით ღირებულია. სკოლაში ამას შეიძლება მიეცეს დისკუსიის სახე, გაიმართოს მსჯელობა სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების შესახებ. დისკუსიის პროცესში მოსწავლეები სწავლობენ განსხვავებული აზრის მოსმენას და, რაც მთავარია - განსხვავებული აზრის პატივისცემას. სასკოლო გარემო უნდა იყოს უსაფრთხო და პოზიტიური ყველა მოსწავლის მიმართ და აძლევდეს თითოეულ მათგანს საკუთარი აზრის გამოხატვის თავისუფლებას, თუნდაც მისი აზრი უმრავლესობის შეხედულებისგან განსხვავებული იყოს. სახელმწიფოებრივი მშვიდობისათვის საჭიროა, სახელმწიფომ

უზრუნველყოს რელიგიური ტოლერანტობა, როგორც საკანონმდებლო, ასევე რეალიზაციის დონეზე. მისი რეალიზაციის ერთ-ერთი საშუალება კი არის სკოლა, სადაც უნდა მოხდეს მოსწავლის ჩამოყალიბება ტოლერანტ მოქალაქედ.

4. **მასწავლებელთა კვალიფიკაცია** - რელიგიის შესახებ სწავლების პროცესში დიდი როლი ეკისრება მასწავლებელს, როგორც ფასილიტატორს. მნიშვნელოვანია როგორც მომავალი, ასევე მოქმედი მასწავლებლების მომზადება ზოგადად მრავალფეროვან საკლასო გარემოში მუშაობისათვის. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი იყოს ობიექტური, ფლობდეს ინფორმაციას სხვადასხვა რელიგიის შესახებ და ქმნიდეს ისეთ გარემოს, განწყობას, როდესაც მოსწავლეებს დაუბრკოლებლად შეეძლებათ საკუთარი აზრის თუ ვარაუდის დაფიქსირება. დაუშვებელია, მასწავლებელი ცდილობდეს საკუთარი რწმენის ან აზრის მოსწავლეებისათვის თავს მოხვევას, მისი მოვალეობაა, დააბალანსოს დისკუსიები და დებატები.

მნიშვნელოვანია, მასწავლებელი ფლობდეს მოსწავლეებთან კომუნიკაციის უნარებს და გახადოს რელიგიის შესახებ საგანი მოსწავლეებისათვის საინტერესო და რელევანტური. ვფიქრობთ, თუ საქართველოს საჯარო სკოლებში დაიგეგმება რელიგიის შესახებ საგნის სწავლება, უმთავრესი ამ საგნისათვის კარგად მომზადებული კადრების შერჩევა იქნება.

განხილული კვლევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, მოსწავლეთა განვითარებაზე და ტოლერანტ მოქალაქეებად მათ ჩამოყალიბებაზე რელიგიის შესახებ სწავლება დადებით ზეგავლენას ახდენს. ვფიქრობთ, საქართველოს საჯარო სკოლებში რელიგიის შესახებ საგნის სწავლებათა დაკავშირებული მოსალოდნელი საფრთხეების პრევენციის შემთხვევაში აღნიშნული საგანი მოსწავლეებს დაეხმარება, გაეცნონ როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს რელიგიურ მრავალფეროვნებას, ასწავლის კრიტიკულ აზროვნებასა და განსხვავებული აზრის პატივისცემას. იქიდან



გამომდინარე, რომ ჩვენ გლობალიზებულ სამყაროში ვცხოვრობთ, უნდა ვიცოდეთ, რა არის ისლამი, ბუდიზმი, კათოლიციზმი, მართლმადიდებლობა, ათეიზმი და სხვ. ადამიანი ერთი მთლიანი და

დიდი სამყაროს ნაწილია, მას სჭირდება ცოდნა როგორც საკუთარი, ასევე სხვისი მრწამსის შესახებ, იმისათვის, რომ იცოდეს და აფასებდეს განსხვავებულს.

## გამოყენებული ლიტერატურა

- ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია (2007) - The Constitution of the United States of Amerika, Washington, 2007. Retrieved from <http://www.gpo.gov/fdsys/pkg/CDOC-110hdoc50/pdf/CDOC-110hdoc50.pdf>
- დოუ (2010) - Doe.N, 2010. Religion an Public Scohols in the states of the European Union- A Juridical Overview.
- ევრო კომისიის გენერალური დირექტივა განათლებისა და კულტურის შესახებ- (2002)- General directive for education and culture, EU-Comission, 2002. Retrieved from [http://ec.europa.eu/education/index\\_de.htm](http://ec.europa.eu/education/index_de.htm)
- ეუთო, ტოლედოს რეკომენდაციები (2007)- The Toledo Guiding Principles on Teaching about Religion and Biliefs in Public Schools, OSCE, 2007. Retrieved from <http://www.osce.org/odihr/29154?download=true>
- თინიკაშვილი (2013)- Tinikashvili, D. 2013. Religious Studies in public schools in USA and Europe. Retrieved from <http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619861&kat=313>
- იუნესკო, მონიტორინგის ანგარიში (2013/2014)- Teaching and Learning: Achieving quality for all, The global monitoring report, UNESCO; 2013/2014. Retrieved from <http://unesdoc.unesco.org/images/0022/002266/226662e.pdf>
- იუნესკო, პოლიტიკის მიმოხილვა (2014)- The Right to Education, Law and Policy Review Guidelines, UNESCO, 2014; Retrieved from <http://unesdoc.unesco.org/images/0022/002284/228491e.pdf>
- კანონი ზოგადი განათლების შესახებ (2005)- Ministry of Education and Science of Georgia, *Law of Georgia on general education*, 2005.
- კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (2005) -Ministry of Education and Science of Georgia, *Law of Georgia on higher education*, 2005.
- კნოტი (2009)- Knauth, T. 2009. Religionunterricht, Dialog und Konflikt, Analysen im Kontext Europas, Religious Diversity and education in Europe, Volume 15.
- კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას შორის (2002)- Patriarchate of Georgia, *Constitutional*

*Agreement between Georgia and Georgian autocephalous Orthodox Christian Church, 2002.*

- მაკლელანდი, გ.(2012)- McLelland, G. Report into Provision of Religious Education and Observance, 2012. Retrieved from [http://edinburghsecularsociety.com/wp-content/uploads/2013/08/Report\\_into\\_the\\_provision\\_of\\_RME\\_and\\_RO\\_in\\_Scotland.pdf](http://edinburghsecularsociety.com/wp-content/uploads/2013/08/Report_into_the_provision_of_RME_and_RO_in_Scotland.pdf)
- მასიონისი, პლამერი (2013)- Plummer, K., Macionis, J. 2013 Manual for Teachers of Civil Education, collection of articles, *“Religion and Belief“*.
- პაპუაშვილი (2004)-Papuashvili, N., 2004, *Via dolorosa of Religios Studies in Georgia*, Magazine *Freedom*, vol. 9(33), 2004.
- პაპუაშვილი (2008)- Papuashvili, S. (2008). State of freedom of religion in Georgia since the adoption of Constitutional Agreement between Government and the Orthodox Church of Georgia; Human Rights Centre; Tbilisi
- პეპინი (2009)- Pepin.L, 2009, Teaching about Religions in European School Systems. Policy issues and trends.
- პროშაკი (2010)- Proshak, V.V, 2010. Models of Religious Education in Public Secondary Schools within European Research Context: The examples of France, Russia, and The Netherlands.
- საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა (2011-2016)- *National curriculum of Georgia 2011-2016*. Retrieved from <http://mes.gov.ge/content.php?id=3929&lang=geo>
- საქართველოს კონსტიტუცია (1995)- Parliament of Georgia, The Constitution of Goegriaსაქართველოს კონსტიტუცია, რედაქტირებული, 2011.
- საქართველოს მოსახლეობის აღწერის სტატისტიკა (2002)- National Statistics Office of Goergia, *Statistical data of General Population Census of Georgia, shed.28, p.132, 2002.*
- ტაბატაძე, გორგაძე (2014) - Tabatadze, S.,Gorgadze, N. (2014) Intercultural Sensitivity of Primary School Teachers of Georgia. *International Journal on Education and Research*, 2(6), 281-300.
- ტაბატაძე, გორგაძე, გაბუნია,ხომერიკი, თინიკაშვილი (2013)- Tabatadze, S.,Gorgadze, N., Gabunia, K., Khomeriki, I., & Tinikashviili, D. (2013) *Intercultural Education Research in Primary Grades of Georgia*. Tbilisi: Centre for Civil Integration and Inter-Ethnic Relations.
- ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის ანგარიში (2014)- Study of Religious Discrimination and Constitutional Secularism, 2014. Tbilisi: The Tolerance and Diversity Institute. Retrieved from <https://tdigeorgia.wordpress.com/2014/09/10/396/>

ფრანკი, ჰამერი (2010)-Franck, J, Hammer, S. 2010, Religion in Public Education-Report on Austria.  
კერბი (2011)- Kerby. L, 2011. Teaching for Tolerance: The Case for Religious Study in American  
Public Schools.

ღვინიანიძე. ლ, ბარქაია, მ. (2014) – Ghvinianidze, L., Barqaia, M. (2014), *Religion in public schools*.  
Tbilisi: Human Rights Education and Monitoring Center.

შოტლანდიის ეროვნული ანგარიში (2010)- Religious Education in Multicultural Society: Scotland  
National Report, 2010. Retrieved from [http://edinburghsecularsociety.com/wp-content/uploads/2013/08/Report\\_into\\_the\\_provision\\_of\\_RME\\_and\\_RO\\_in\\_Scotland.pdf](http://edinburghsecularsociety.com/wp-content/uploads/2013/08/Report_into_the_provision_of_RME_and_RO_in_Scotland.pdf)

ჯეინესი (2007)- Jeynes.W.H, 2007. Religion, Intact Families, and the Achievement Gap,  
Interdisciplinary Journal of Research on Religion Vol. 3 (2007), Article 3